სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

05467709831320

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N200113842

რეგისტრაციის თარიღი

03.02.2020 წ

ნოტარიუსი: ეკატერინე მარშანია

მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 47

ტელეფონი: 5(74) 44 45 49; ელ.ფოსტა: emarshania@notary.ge

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი
საქართველო

ორიათას ოცი წლის სამ თებერვალს მე, ნოტარიუს ეკატერინე მარშანიას, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 47, მომართა: **ლუიზა ბერიანიძემ** მან განაცხადა, რომ არის **შპს „სილქ გასტრონომი“-ს (ს/კ 418473547) დირექტორი** და სურს რწმუნებულების შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება, რომლითაც შესაბამის უფლებამოსილებას მიანიჭებს **ნინო ტატიშვილს** (დაბადების თარიღი: 12.08.1991 წ., პირადი ნომერი: 59001108374, რეგისტრირებული მისამართი: თბილისი ა.პოლიტკოვსკაიას ქ. N 50 კორ. 1 ბ. 55) და **საბა საბახტარიშვილს** (დაბადების თარიღი: 12.05.1988 წ., პირადი ნომერი: 39031004630, რეგისტრირებული მისამართი: საქართველო, ქალაქი სენაკი, დავით აღმაშენებელის ქუჩა, N 38) მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **ლუიზა ბერიანიძემ** (დაბადების თარიღი: 28.12.1969 წ., პირადი ნომერი: 59001035559, პირადობის მოწმობა #13II32316 გაცემული 09.03.2015 წელს იუსტიციის სამინისტროს მიერ, რეგისტრირებული მისამართი: გორი, კოტე მარჯანიშვილის ქუჩა, N 6) მომმართა. მე შევამოწმე მიმნდობის ქმედუნარიანობა და უფლებამოსილება. მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა და შევადგინე წინამდებარე რწმუნებულება, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მარწმუნებელს. მან წაიკითხა ეს რწმუნებულება და მკაფიოდ განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას. რის შემდეგაც მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ რწმუნებულებას ქართულ ენაზე.

გადახდილია სანოტარო საზღაური: „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის დადგენილება #507-ის საფუძველზე მუხლი 31.7-ის თანახმად 10.00 ლარი + საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის თანახმად დღგ: 1,80 ლარი და მუხლი 39-ე პ. 1 _ ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციისათვის 2.00 ლარი.

რწმუნებულება

შპს „სილქ გასტრონომი“-ს (ს/კ 418473547) დირექტორმა ლუიზა ბერიანიძემ წინამდებარე მინდობილობით **ნინო ტატიშვილს და საბა საბახტარიშვილს** მიანიჭა შემდეგ უფლებამოსილება:

1.რწმუნებული პირები უფებამოსილნი არიან როგორც ერთად ასევე ცალცალკე „მარწმუნებლის“ სრულუფლებიანი წარმომადგენლები და განახორციელონ ყველა ის უფლებამოსილება, რასაც ზემოთაღნიშნული შპს-ს წესდების და/ან საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებს დირექტორი (ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა), მათ შორის:

2.მოიწვიონ პარტნიორთა კრება, მონაწილეობა მიიღონ პარტნიორთა საერთო კრებაში (მათ შორის რიგგარეშე კრებაში), დააფიქსირონ საკუთარი აზრი, განახორციელონ პარტნიორისთვის საქართველოს კანონმდებლობითა და საზოგადოების სადამფუძნებლო დოკუმენტებით მინიჭებული სხვა ნებისმიერი უფლებამოსილებები.

3.წარმოადგინონ **შპს„სილ ქგასტრონომი“-ს**(ს/კ: 418473547), შემდგომში „საზოგადოება“ მესამე პირებთან ურთიერთობაში, მათ შორის ნებისმიერ საჯარო თუ კერძო ორგანიზაცია დაწესებულებაში, საქართველოში არსებულ ნებისმიერ საბანკო დაწესებულებებში, სანოტარო ბიუროში, ნებისმიერ სსიპ-ში, საგადასახადო ორგანოებთან ურთიერთობაში, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ნებისმიერ სარეგისტრაციო სამსახურში, ფინანსთა სამინისტროში, შემოსავლების სამსახურში (აგრეთვე, მის დაქვემდებარებაში არსებულ ნებისმიერ სამსახურში ან/და კომისიაში და ნებისმიერ საგადასახადო ორგანოში), სსიპ სურსათის ეროვნულ სააგენტოში, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროში, **ნებისმიერ უცხოურ კომპანიებში (აწარმოონ მოლაპარაკებები, გააფორმონ ხელშეკრულებები),** სანოტარო ბიუროში და „მარწმუნებლის“ სახელით განახორციელოს ნებისმიერი საჭირო მოქმედება, მიიღოს საორგანიზაციო გადაწყვეტილებები, წარადგინოს ან/და გამოითხოვოს ნებისმიერი საჭირო საბუთები/დოკუმენტები/განცხადებები, მათ შორის ცნობები, ამონაწერები, განცხადებები,

მოწმობები. დადოს და ხელი მოაწეროს მისი უფლებამოსილების ფარგლებში ნებისმიერი სახის ხელშეკრულებას, კრების ოქმ(ებ)ს.

4.„წარმომადგენლები" უფლებამოსილნი არიან როგორც ერთად ასევე ცალცალკე „საზოგადოების" სახელით დადონ ნებისმიერი სახის და შინაარსის ხელშეკრულებები, მართონ და განკარგოს „საზოგადოების" მოძრავი ქონება, მათ შორის და არა მხოლოდ, დადონ ნებისმიერი შინაარსის სესხის, სესხის და იპოთეკის ხელშეკრულება, უფლებრივად დატვირთონ „საზოგადოების" უძრავ-მოძრავი ქონება. აღნიშნულთან დაკავშირებით იყოს „საზოგადოების" წარმომადგენელი ნებისმიერ კომერციულ ბანკში, მიკროსაფინანსო ორგანიზაციაში, საფინანსო ინსტიტუტში და თავად განსაზღვროს ხელშეკრულების შინაარსი.

5.„მარწმუნებელი", როგორც „საზოგადოების"დირექტორი „წარმომადგენლებს" როგორც ერთად ასევე ცალცალკე ანიჭებს, აგრეთვე, შემდეგ უფლებამოსილებას:წარმოადგინონ „მარწმუნებელი" და „საზოგადოება" საქართველოში არსებულ ნებისმიერი კომერციული ბანკის ნებისმიერ ფილიალში/სათაო ოფისში, მათ შორის სს „საქართველოს ბანკი"-ს, სს „თიბისი ბანკი"-ს, სს „ლიბერთი ბანკი"-ს და სს „პროკრედიტ ბანკი"-ს ნებისმიერ ფილიალში/სათაო ოფისში და მისი სახელით მართონ და განკარგონ „მარწმუნებლის" სახელზე არსებული საბანკო ანგარიშები/ანაბრები/ანაბრები, აგრეთვე, გახსნან/დახურონ ანგარიშები/ანაბრები/ანაბრები და განახორციელონ ამისთვის საჭირო საბანკო-საფინანსო ოპერაციები (ნებისმიერი ფულადი თანხის მიღების/გამოტანის, შეტანის, გამოტანის, ჩარიცხვის, გადარიცხვის, კონვერტაციის, წინსწრებით და ვადაზე ადრე დაფარვის უფლებით) აწარმოონ ნებისმიერი საბანკო ოპერაციები/ტრანზაქციები, მიიღონ ნებისმიერი სახისამონაწერები/ცნობები, შეამოწმონ ანგარიშები, მოითხოვონ ახალი/დამატებითი პლასტიკური ბარათის დამზადება და მიიღონ იგი, წარადგინონ და მიიღონ აუცილებელი დოკუმენტები, ჩაიბარონ და ჩააბარონ ნებისმიერი, მათ შორის ფინანსური ხასიათის დოკუმენტი, შეიტანონ ბანკის სალაროს მეშვეობით მიზნობრივ ანგარიშზე ფულადი თანხები. ასევე, მიიღონ ბანკის სალაროდან ფულადი სახსრები; ისარგებლონ, (გააქტიუროს) საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული ნებისიერი საბანკო პროდუქტით, მათ შორის, ინტერნეტ ბანკინგით, მოითხოვონ და ხელზე მიიღონ (ჩაიბარონ, მათ შორის, განმეორებით) დიჯიპასი, დაბლოკონ/განბლოკონ პლასტიკური ბარათი. მიმართონ განცხადებით ზემოთაღნიშნულ ბანკებს, მათ ფილიალებს/სათაო ოფისებს და კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიღონ (გამოითხოვონ) და ჩაიბარონ ნებისმიერი სახისა და შინაარსის დოკუმენტი (ან/და ინფორმაცია მათ შორის: ცნობა ბანკის მიმართ დავალიანების არ არსებობის შესახებ, ცნობა ანგარიშებზე არსებული ნაშთების შესახებ, ცნობა ანგარიშებზე ბრუნვის შესახებ); ხელი მოაწერონ ყოველივე ზემოთაღნიშნულთან დაკავშირებულ საბუთებს (მათ შორის, განცხადებებსა და ხელშეკრულებებს).

5.რწმუნებულები როგორც ერთად ასევე ცალცალკე უფლებამოსილია მარწმუნებლების სახელით შეასრულონ ყველა საჭირო მოქმედება რაც დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით. მათ შორის: მარწმუნებლის სახელით შეიტანონ განცხადება ან სარჩელი სასამართლოში, გადაიხადონ სახელმწიფო ბაჟი, დაიბრუნონ სახელმწიფო ბაჟი, მოსაკრებელი. გაეცნონ საქმის მასალებს, გააკეთონ ამონაწერები ამ მასალებიდან გადაიღოს ასლები, განაცხადონ აცილება. წარადგინონ მტკიცებულებანი, მონაწილეობა მიიღონ მტკიცებულებათა გამოკვლევაში, შეკითხვები დაუსვან მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, განაცხადონ სასამართლოს წინაშე შუამდგომლობები, მისცენ სასამართლოს ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებები, წარადგინოს თავისი დასკვნები და მოსაზრებები საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე, უარყონ მეორე მხარის შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები, ნაწილობრივ ან მთლიანად უარი თქვან სასამართლო სარჩელზე, შეცვალონ სასამართლო სარჩელის საგანი ან საფუძველი, გაადიდონ ან შეამციროს სასამართლო სასარჩელო მოთხოვნის მოცულობა, გაასაჩივრონ სასამართლოს ნებისმიერი აქტი, წარადგინონ სააპელაციო და საკასაციო საჩივარი. საქმე დაამთავრონ მორიგებით. წარმოადგინონ ჩემი ინტერესები კერძო და საჯარო სააღსრულებო ბიუროში, კერძო არბიტრაჟში, წარადგინოს სააღსრულებო ფურცელი გადასახდევინებლად, მოახდინოს აღსრულება, აღძვრას პრეტენზია.

6. „წარმომადგენელი“ უფლებამოსილია „მარწმუნებლის“ სახელით განახორციელოს ნებისმიერი ხასიათის მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული მინდობილობაში, მაგრამ საჭიროა წინამდებარე რწმუნებულებით გათვალისწინებული უფლებამოსილებების შესასრულებლად.

7. **მინდობილი პირი** აგრეთვე უფლებამოსილია შეასრულოს ყველა ის დავალება, რაც არ არის ჩამოთვლილი მინდობილობაში, მაგრამ აქვს მინიჭებული კომპანიის წესდებით, როგორც დირექტორს.

8. **მინდობილობა გაცემულია 2 (ორი) წლის ვადით და ძალაშია 2022 წლის 03 თებერვლის ჩათვლით სრულად ან ნაწილობრივ მესამე პირებზე გადანდობის უფლებით.**

9. მინდობილობა გაცემულია ხუთ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად ქართულ ენაზე, ერთი ინახება სანოტარო ბიუროში, ხოლო დანარჩენი გადაეცა „მიმნდობი პირს“.

იმ ეგზემპლარს, რომელიც რჩება სანოტარო ბიუროს არქივში თან ერთვის 1 (ერთი) დოკუმენტი:
1) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან **შპს „სილქ გასტრონომი“-ს (ს/კ 418473547)** შესახებ.

ნოტარიუსი ეკატერინე მარშანია

